

899.962-1

1-241

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

კაკანაძე სალომე ბურამის ასული

ტიციან ტაბიძის პროზა, წერილები, ნარკვევები.

10.01.02. — ქართული ლიტერატურა

ავტორეფერატი

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის  
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი — 1997 წ.

ნაშრომი შესრულებულია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რ. მიშველაძე

ექსპერტი — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლ. მინაშვილი

- ოფიციალური ოპონენტები:
1. ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დ. თევზაძე
  2. ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი დ. კოტორაშვილი

წამყვანი ოგანიზაცია — ქუთაისის ა. წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი  
დაცვა შედგება 1997 წლის „*20/6*“ საათზე

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის სადისერტაციო საბჭოს შიფრით 10.01. №2


(380028, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი № 1).

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო მაცნე გაიგზავნა — 1997 წ. *20/6*

სპეციალიზირებული — საატესტაციო

საბჭოს სწავლული მდივანი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი *ე. შანუ* ნ. ტაბიძე



-1539-

თემის აქტუალობა. მეოცე საუკუნის დასასრულს მომხდარმა გრანდიოზულმა ცვლილებებმა მსოფლიო პოლიტიკის, ეროვნული სახელმწიფოებრიობის, საზოგადოებრივი თუ ინდივიდუალური ცნობიერების სფეროში მოიტოვა სამამულო ლიტერატურულ კრიტიკაში მეცნიერული კვლევისათვის ახალი, ობიექტური ანალიზი და ახლებური მიდგომა. განსაკუთრებით ეს ეხება რევოლუციის შემდეგ დროინდელ სამამულო ლიტერატურას, როდესაც გამეფებული იყო პოლიტიზირებული, მკვეთრად ნეგატიური მიდგომა არარეალისტური ლიტერატურული მიმდინარეობებისადმი.

ტიციან ტაბიძის, როგორც შემოქმედის ჩამოყალიბება მოხდა არარეალისტური ლიტერატურული სკოლის ფარგლებში. „ციცხერი ყანწები“ იყო პირველი მოდერნისტული დაჯგუფება საქართველოში, რომელმაც მიზნად დაისახა ქართული ლიტერატურის „ეპროპული რადიუსით გამართვა“. ამ ჩანაფიქრის სისრულეში მოსაყვანად ისინი იღწეოდნენ არა მარტო ლექსებითა და მანიფესტებით, მოდერნისტული პოეზიის დასამკვიდრებლად იწერებოდა შესანიშნავი წერილები, ესეები. ქართველმა სიმბოლისტებმა კარგად უწყოდნენ, რომ საჭირო იყო არა მარტო ლექსის წერა, არამედ „ლექსზე წერაც“. ამ შეგნებით გამოირჩეოდა ტიციან ტაბიძე — სიმბოლისტური სკოლის ერთ-ერთი თავკაცი და კოლორიტული ფიგურა.

წინამდებარე ნაშრომის აქტუალობას განაპირობებს შემდეგი მომენტები:

ა) ტიციან ტაბიძის უდიდესი როლი ქართული მოდერნისტული და ავანგარდისტული ლიტერატურული მიმდინარეობების ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში;

ბ) ტიციან ტაბიძის პროზის ზოგიერთი თავისებურებების გამოვლენა;

გ) ტიციან ტაბიძის, როგორც პუბლიცისტისა და ნიჭიერი მენარკვევის წარმოჩენა და მისთვის კუთვნილი ადგილის განსაზღვრის საჭიროება.

მეცნიერული სიახლე. ნაშრომის სიახლე, ჩვენი მოკრძალებული შეფასებით მდგომარეობს იმაში, რომ პირველად გახდა შესწავლის საგანი ტიციან ტაბიძის პროზაული და პუბლიცისტური მემკვიდრეობა. თუ აქამდე მისი ლიტერატურული დამსახურება განისაზღვრებოდა ძირითადად პოეტური მონაგართ, კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ტიციან ტაბიძე უადრესად საინტერესო მოვლენას წარმოადგენს, როგორც პუბლიცისტი და პროზაიკოსი. მისი პროზაული და ესეისტური მემკვიდრეობის იდეურ-მხატვრული ანალიზისა და მსოფლმხედველობრივი საფუძვლების კვლევისას გაირკვა ტიციან ტაბიძის დიდი დამსახურება ქართული ესეისტისა და ნარკვევის განვითარების საქმეში. გამოვლინდა მწერლის შემოქმედების შედარებით უცნობი მომენტები, ახლებურად იქნა გააზრებული ამასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხები.

ნაშრომის მიზანია სრულად განსაზღვროს ტიციან ტაბიძის დეაწლი ეროვნულ-ლიტერატურის ისტორიაში, რომელშიც ძირითად საუბარი იყო მის პოეტურ წვლილზე ჩვენი მრავალსაუკუნოვანი მწერლობის უმდიდრეს საგანძურში. ამიტომაც ჩვენი ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ტიციან ტაბიძის ლიტერატურული პორტრეტის სრულყოფა. მისი, როგორც მწერლისა და პუბლიცისტის დამსახურების ჩვენება, რადგან ღირებულს წარმოადგენენ არა მარტო მისი ლექსები და პოემები, არამედ ლიტერატურული წერილები, ნარკვევები და პროზაული მინიატურებიც. ეს უკანასკნელნი სრულად წარმოაჩენენ ტიციან ტაბიძის სოციალ-პოლიტიკურ, ლიტერატურულ შეხედულებებსა და დამსახურებას არა მარტო ლიტერატურის, არამედ ხელოვნებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის სფეროშიც.